დანართი №1

სსიპ მიხეილ ხერგიანის სახელობის დაბა მესტიის №2 საჯარო სკოლის
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „ფოტოგრაფია“ მონიტორინგის ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა;

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: **მიმოზა ღოლიჯაშვილი**
წევრები: ბესარიონ ორმოცაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ მიხეილ ხერგიანის სახელობის დაბა მესტიის №2 საჯარო სკოლა**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი;**

საიდენტიფიკაციო კოდი: **235894458**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

■ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი ველი):

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არაგეგმიური

■ საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ვიზიტი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 15 აგვისტოს MES 3 25 0000988835 სხდომის ოქმისა და სსიპ — განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 4 ივნისის №MES 4 26 0000667381 ბრძანების საფუძველზე, **სსიპ მიხეილ ხერგიანის სახელობის დაბა მესტიის №2 საჯარო სკოლაში,** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფოტოგრაფია“ მონიტორინგის ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, 2026 წლის 23 ივნისს დაწესებულებაში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი. აღნიშნული მონიტორინგი ჩაინიშნა საბჭოს მიერ ცენტრის წინაშე აღძრული შუამდგომლობის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „**ფოტოგრაფია“-** მე-2 სტანდარტში (2.2. კომპონენტი) „საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი“ და მე-4 სტანდარტის (4.1 კომპონენტი) „პერსონალის და პროცესების მართვა“ შემოწმებას (ადგილზე ვიზიტის ფორმით).

მონიტორინგის დღის განრიგის შესაბამისად, განხორციელდა დაწესებულების წარმომადგენლებთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელსა და განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრება. ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, შეამოწმა პროგრამის მატერიალური და ადამიანური რესურსი, დაათვალიერა დაწესებულების ბიბლიოთეკა და გაესაუბრა ბიბლიოთეკარს. დაწესებულების წარმომადგენლის თანხლებით, ასევე, ვიზუალურად შემოწმდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და შეფასდა პერსონალის რაოდენობრივი მაჩვენებელი. ვიზიტის დასასრულს, ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯამა მუშაობის შედეგები და ძირითადი მიგნებების შესახებ ინფორმაცია ზეპირი ფორმით მიაწოდა ადმინისტრაციას.

პირველადი ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში (სსიპ განათლების ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრის დირექტორის 25.06.2025 წლის №751780 ბრძანება), რომლის მიზანიც იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის, გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტის, დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ადმინისტრაციული სერვისები" დებულების 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ა); ბ.ბ); ბ.გ) და ბ.დ) კომპონენტებთან დაწესებულების შესაბამისობის შეფასება.
ავტორიზაციის 4.1 კომპონენტი ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებული იყო როგორც **„ნაწილობრივ შესაბამისი“,** ხოლო 2.2 კომპონენტი — **„მეტწილ შესაბამისად“.** აღნიშნული გეგმით, დაწესებულებას სასწავლო პროცესის დაწყებამდე დაევალა კონკრეტული ვალდებულებების შესრულება. კერძოდ, 2.2

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის ფარგლებში უნდა უზრუნველყოთ სასწავლო სივრცეების მოწესრიგება-აღჭურვა (ინდ. 2.2.1.1), დარგობრივი განმახორციელებლების მოძიება-შერჩევა (ინდ. 2.2.1.2), პროფესიული მასწავლებლების გადამზადება სწავლა-სწავლებისა და შეფასების მიმართულებით (ინდ. 2.2.1.3) და საგანმანათლებლო რესურსების შევსება (ინდ. 2.2.1.5). ამასთანავე, 4.1 კომპონენტის მოთხოვნით, დღის წესრიგში იდგა ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა (ინდ. 4.1.1.1 და 4.1.1.2).

მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად შეამოწმა ამ ვალდებულებების შესრულების მდგომარეობა და დაადგინეს, რომ ყველა ხარვეზი აღმოფხვრილია. გატარებული ღონისძიებების საფუძველზე, ავტორიზაციის 2.2 და 4.1 კომპონენტები, მათში შემავალ ყველა ზემოაღნიშნულ ინდიკატორთან ერთად, შეფასდა სტანდარტებთან „**სრულ შესაბამისობაში**“.

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

ინფორმაცია ივსება მხოლოდ მიმდინარე პროგრამების მიხედვით მონიტორინგის დროს ან წარმოების მიზნებიდან გამომდინარე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
„ფოტოგრაფია“	20	10	-	-

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

არ გამოვლენილა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
„ფოტოგრაფია“	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით. (ინდივიდუალურ პროგრამებად განიხილება განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა)

პროგრამის სახელწოდება	„ფოტოგრაფია“
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ფოტოგრაფიაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0211
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მესტია, დ. აღმაშენებლის ქ. №25
პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში)	იმიტირებულ გარემოში სამუშაო
დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	20
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	10
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	20
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	63
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	93

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I.პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.1.პერსონალის და პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

სსიპ - მიხეილ ხერგიანის სახელობის დაბა მესტიის №2 საჯარო სკოლის პირველადი ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფოტოგრაფია“, განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნის თანახმად, ავტორიზაციის სტანდარტის 2.2. კომპონენტი შეფასებული იყო, როგორც „მეტწილად შესაბამისი“. აღნიშნული შეფასების მიზეზს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ დაწესებულებაში არ ფიქსირდებოდა პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსი და სასწავლო სივრცეები საჭიროებდა სარემონტო სამუშაოების ჩატარებას; მონიტორინგის ვზიტის ფარგლებში აღნიშნული ხარვეზი სრულად იყო აღმოფხვრილი და ამ ეტაპზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფოტოგრაფია“ წარმატებით ხორციელდება იმიტირებულ გარემოში, რისთვისაც გამოყოფილია სპეციალური სივრცე/აუდიტორია: ერთი AB გარემო და ერთი AC გარემო; აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი რესურსით: ავეჯით, ტექნიკით და ასევე ჩატარებულია სარემონტო სამუშაოები. საგანმანათლებლო დაწესებულებას გადეცა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური და სასწავლო რესურსი, რომელიც გათვლილია 10 პროფესიულ სტუდენტზე;

დაწესებულებამ წარმოადგინა ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის შეძენილი დაფინანსების თაობაზე გაფორმებული მიღება - ჩაბარების აქტი (2026 წლის 22 ივნისის მიღება-ჩაბარების აქტი მესტიის მუნიციპალიტეტის მერიასა და სსიპ მიხეილ ხერგიანის სახელობის დაბა მესტიის №2 საჯარო სკოლას შორის); დაწესებულებამ საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად შეიძინა შემდეგი დანადგარები და ინვენტარი:

- ✓ ოპტიკის გადამყვანი R to EF
- ✓ ოპტიკის გადამყვანი EF-ს to EF
- ✓ ფოტოაპარატი EOS M50
- ✓ ფოტოაპარატი EOS R5
- ✓ ცვლადფოკუსურმანძილიანი ობიექტივი F= 15-45mm კამერისთვის (მატრიცით APS-C)
- ✓ ცვლადფოკუსურმანძილიანი ობიექტივი F= 55-200mmკამერისთვის (მატრიცით APS-C)
- ✓ ცვლადფოკუსურმანძილიანი ობიექტივი F= 24-105 mm უსარკო კამერისთვის
- ✓ ფოტოკამერის დამცავი UV ფილტრი ობიექტივის დიამეტრი - 49 mm
- ✓ ფოტოკამერის დამცავი UV ფილტრი ობიექტივის დიამეტრი - 77 მმ
- ✓ ექსპონომეტრი
- ✓ ფლეშსანათი
- ✓ ფლეშსანათის სამაგრი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ✓ ფლეშსანათის ტრიგერი
- ✓ ფლეშსანათის რესივერი
- ✓ ფირის აპარატი ყვითელი კოდაკი M38
- ✓ შტატივი
- ✓ კამერის საწმენდი კომპლექტი
- ✓ HDMI კაბელი
- ✓ ფოტოკამერის ჩანთა კამერის ზომის მიხედვით
- ✓ ამრეკლი დისკო დიამეტრი 78 მმ - დასადგფამით
- ✓ ამრეკლი დისკო პატარა
- ✓ სოფტბოქსი მართხკუთხედი
- ✓ სოფტბოქსი მრგავლი
- ✓ სოფტბოქსი სადგამი
- ✓ იმპულსური განათება (მონობლოკი) შტატივით
- ✓ მუდმივი განათების ხელსაწყო შტატივით
- ✓ ქოლგა ფლეშ განათებისთვის
- ✓ გადასაღები სკამ-მაგიდა
- ✓ ინტერაქციული დაფა (მონიტორი)
- ✓ დიდი შტატივი (კინოკამერის)
- ✓ ფლეშსანათი

ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ დაწესებულების მფლობელობაში არსებული ინფრასტრუქტურა, აღჭურვილობა და სასწავლო გარემო სრულად შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის სტანდარტებს და უზრუნველყოფს მოთხოვნილი რაოდენობის სტუდენტებისთვის კომფორტულ, უსაფრთხო გარემოში სწავლა-სწავლების პროცესს;

2.2.1.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფოტოგრაფია“, განხორციელების მიზნით, დაწესებუელებას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე, როგორც ზოგადი და ინტეგრირებული, ასევე დარგობრივი მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას. სულ პროგრამას ახორციელებს 15 პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განათლების მასწავლებელი, რომელთაგან დარგობრივის განმახორციელებელია 4 (ოთხი), 4 (ოთხი) უძღვება ზოგად მოდულს, ხოლო 7 (შვიდი) - ინტერგრირებული მოდულს; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტები გაესაუბრნენ განმახორციელებელ პირებს. მონიტორინგის ვიზიტის დროს გადამოწმდა პერსონალთან გაფორმებულია ხელშეკრულებები.

2.2.1.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

დაწესებულებამ უზრუნველყო სათანადო კომპეტენციის მქონე კადრების მობილიზება. აღნიშნული პროცესის შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის – „ფოტოგრაფია“ — მასწავლებელთა პირადი საქმეები, მათ შორის, კვალიფიკაციის, პედაგოგიური პრაქტიკისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. შესწავლის შედეგად დადასტურდა, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ფლობს სტუდენტებისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასებისათვის საჭირო კომპეტენციას. ამასთან, მათ უმრავლესობას აქვს მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი პრაქტიკა (აღსანიშნავია, რომ პედაგოგთა უმრავლესობა ადგილობრივი და ამავე სკოლაში დასაქმებული კადრია).

ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გაირკვა, რომ მასწავლებლების უმრავლესობას გავლილი აქვს შესაბამისი ტრენინგები, რაც საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტების შესაბამისად, მისი შეუფერხებელი განხორციელების გარანტიას ქმნის. პერსონალის პირად საქმეებში დაცული დოკუმენტაციით დასტურდება პროფესიული განათლების მიმართულებით კვალიფიკაციის ამაღლება შემდეგ მოდულებსა და პროგრამებში:

- ✓ **ინტეგრირებული მოდულების ტრენინგები:** „ინტეგრირებული მოდულის სწავლების შესავალი და ინტეგრირებული ზოგადი მოდულები“ („ესთეტიკა“, „მეცნიერება და ტექნოლოგიები“, „მოქალაქეობა“, „ინგლისური ენა“);

- ✓ **მართვის მოდულები:** „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვისა და მართვის სტრატეგიები და მექანიზმები“ (აღნიშნული მოდული გავლილი აქვთ სკოლის დირექტორსა და სასწავლო პროცესების მართვის კოორდინატორს).

მიუხედავად იმისა, რომ ინტეგრირებული მოდულები (კერძოდ: მატემატიკური წიგნიერება, კომუნიკაცია ქართულ ენაზე, სპორტი და მეწარმეობა) ამ ეტაპზე ყველა მასწავლებელს არ აქვს გავლილი, აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში აქტიურად მოქმედებს შიდა კოლეგიალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ურთიერთმხარდაჭერის პრინციპი — კოლეგები, რომლებსაც აღნიშნული ტრენინგები გაირეს, აქტიურად ეხმარებიან და საკუთარ გამოცდილებასა თუ ცოდნას უზიარებენ პერსონალს საჭიროებიდან გამომდინარე;
კადრების მობილიზებისა და პერსონალის არსებული კვალიფიკაციის გათვალისწინებით, საწყის ეტაპზე არსებული ხარვეზი სრულად აღმოფხვრილია და ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.2.1.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
დაწესებულების შიდა რეგულაციებით განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის როლი, ძირითადი ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფოტოგრაფია“, ხელმძღვანელად იდენტიფიცირებულია შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი, რომელიც ამავდროულად ჩართულია პროგრამის უშუალო განხორციელებაში. მისი პირადი საქმის დოკუმენტური შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დადასტურდა, რომ იგი წარმოადგენს სფეროს კვალიფიციურ სპეციალისტს. ამასთანავე, გამოიკვეთა მისი უშუალო მონაწილეობა აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, ფორმირებისა და შემუშავების პროცესში, რაც ხაზს უსვამს მის კომპეტენტურობასა და მზაობას პროგრამის ეფექტიანი მართვისთვის.

2.2.1.4. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ფოტოგრაფია“, განსაზღვრული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სტუდენტთა პროფესიულ განვითარებასა და სასწავლო პროცესის პროგრესს. დაწესებულებას შემუშავებული და საჯაროდ აქვს გამოკრული „ბიბლიოთეკაში სარგებლობის წესი“; დაწესებულების ბიბლიოთეკარი ახორციელებს საგანმანათლებლო მასალების მიწოდებას, როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ისე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისთვის. ბიბლიოთეკის არსებული ინფრასტრუქტურა აერთიანებს მოწყობილ სამკითხველო სივრცეს, ინტერნეტთან დაკავშირებულ კომპიუტერულ ტექნიკას, პროექტორს, პრინტერს, რაც სრულად უზრუნველყოფს მასალების ბეჭდვისა და სკანირების შესაძლებლობას. რესურსების რეალური ხელმისაწვდომობა დადასტურდა ბიბლიოთეკარსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე, რის შედეგადაც გამოიკვეთა დაწესებულების მზაობა აღნიშნული პროგრამის განხორციელებისთვის.

2.2.1.5. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

სსიპ მიხეილ ხერგიანის სახელობის დაბა მესტიის №2 საჯარო სკოლის დირექტორის მიერ 2025 წლის 16 ივნისს დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების“ 29-ე მუხლი დეტალურად აწესრიგებს პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების სამართლებრივ პროცედურას. დაწესებულებაში სრულფასოვნად არის მოწესრიგებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა სწავლებისა და მხარდაჭერის მექანიზმები. დოკუმენტის თანახმად, შშმ და სსსმ სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ნებისმიერი სახის სერვისი, რაც მოიცავს სპეციალისტების მოწვევას, საჭიროებაზე მორგებული საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფას, ტერიტორიაზე გადაადგილების ხელშეწყობას, ასევე სასწავლო და ადმინისტრაციულ ინდიკატორულ მხარდაჭერას. ინკლუზიური სასწავლო გარემოს შესაქმნელად, სკოლის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო რესურსების ელექტრონული ვერსიების დამზადებას, შესაბამისი ზომის შრიფტით ამობეჭდვას და მასწავლებელთა ჩართულობით ტექსტების შინაარსობრივ ადაპტირებასა თუ ვიზუალურ გამარტივებას. უსაფრთხო გადაადგილებისა და ფიზიკური მხარდაჭერის მიზნით, პროცესში ჩართულია სპეციალისტი, ხოლო დაწესებულების დაცვის პერსონალისა და მედდას ფუნქცია-მოვალეობებში პირდაპირ არის გაწერილი სტუდენტთა დახმარების ვალდებულება. ამასთანავე, შშმ/სსსმ პირთა ჩარიცხვისას, დაწესებულება მედდის მონაწილეობით მართავს კონსულტაციებს პრაქტიკის ობიექტებთან მოდულების აკომოდირების მიზნით, ხოლო დირექტორის ბრძანებით შექმნილი სპეციალური კომისია — რომელშიც სავალდებულოდ შედის შესაბამისი უნარების მქონე ან მოწვეული პირი — შეისწავლის სტუდენტის მდგომარეობას და შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას (მოდიფიკაციას ან აკომოდაციას). აღსანიშნავია, რომ სასწავლო პროგრამაში მაქსიმალური ინტეგრაციისთვის, შშმ და სსსმ პირები მოდულებზე დაიშვებიან წინაპირობების დაძლევის გარეშე, მათი მიმდინარე შეფასება ხდება ინდივიდუალურად, ხოლო კრედიტების მინიჭება და კვალიფიკაციის მინიჭება ხორციელდება პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით სწავლის შედეგების დადასტურების საფუძველზე. შესაბამისად, წარმოდგენილი მარეგულირებელი ჩარჩო სრულად უზრუნველყოფს შშმ და სსსმ პროფესიულ სტუდენტთა თანაბარ უფლებრივ მდგომარეობას, ინდივიდუალურ მხარდაჭერასა და სასწავლო პროცესის მოქნილ მართვას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2.2.1.6. ინდოკატორი შესაბამისობაშია.

7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულების ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის „ფოტოგრაფია“, მდგრად და უწყვეტ განხორციელებას. საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავებული და დამტკიცებულია პროგრამის ბიუჯეტი (რენტაბელობის ზღვარი-5), რომლებიც მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილს. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ვაუჩერული დაფინანსება (მაღალმთიან დასახლებაში მდებარე). ბიუჯეტი ითვალისწინებს შემდეგ კრიტერიუმებს:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ✓ პროფესიული მასწავლებლების ანაზღაურება;
- ✓ საქონელი და მომსახურება;
- ✓ სხვა მიმდინარე ხარჯები (მათ შორის ადმინისტრირება);

2.2.1.7 ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები „ფოტოგრაფია“;
- ✓ პროფესიული განათლების მასწავლებლის ხელშეკრულებები;
- ✓ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ✓ სასწავლო ცხრილები;
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ფოტოგრაფია“ განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის ჩამონათვალი;
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ფოტოგრაფია“ განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის დანართი;
- ✓ პროგრამის ბიუჯეტი; (02.06.2025 წელი)
- ✓ 2026 წლის 22 ივნისის მიღება-ჩაბარების აქტი მესტიის მუნიციპალიტეტის მერიასა და სსიპ მიხეილ ხერგიანის სახელობის დაბა მესტიის №2 საჯარო სკოლას შორის;
- ✓ 2025 წლის 16 ივნისის ბრძანება №19 პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ;
- ✓ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“ ;
- ✓ გასაუბრების შედეგები;

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

[redacted] შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

სსიპ - მიხეილ ხერგიანის სახელობის დაბა მესტიის №2 საჯარო სკოლის პირველადი ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფოტოგრაფია“ განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორი ნაწილობრივ იყო დაკმაყოფილებული, რადგან დაწესებულებას არ ჰქონდა წარმოდგენილი სრულად სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფდა საგანმანათლებლო პროცესების მართვას. მიმდინარე მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულბამ შექმნა ახალი ორგანიზაციული სტრუქტურა; სსიპ მიხეილ ხერგიანის სახელობის დაბა მესტიის N2 საჯარო სკოლის დოკუმენტის მიხედვით, სტრუქტურა დაყოფილია კოლეგიალურ ორგანოებად და მართვის ვერტიკალად:

- **კოლეგიური სტრუქტურული ერთეულები (საბჭოები და კათედრები):** სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა და საგნობრივი კათედრები;
- **მართვის ვერტიკალი:** სათავეში უდგას ზსდ-ს/პროფესიული სასწავლებლის დირექტორი და დირექცია. სქემაში გამოყოფილია შემდეგი მიმართულებები:
  - ✓ **ადმინისტრაციული და ფინანსური მართვა:** დირექტორის მოადგილე, ადმინისტრაცია და ზსდ-ს ბუღალტერი/პროფესიული სასწავლებლის შესყიდვების მენეჯერი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ✓ **პროფესიული განათლების მიმართულება:** პროფესიული სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, პროფესიული განათლების სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებლები.
- ✓ **ტექნიკური და დამხმარე პერსონალი:** ზსდ-ს/პროფესიული სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი.

მონიტორინგის შედეგად დგინდება, რომ დაწესებულებაში მოქმედებს ანგარიშვალდებულების მკაფიო პრინციპი. დაწესებულებაში დასაქმებული თითოეული თანამშრომელი ვერტიკალური მართვის პრინციპით პირდაპირ ექვემდებარება ზსდ-ს/პროფესიული სასწავლებლის დირექტორს და ანგარიშვალდებულია მის წინაშე. ამასთანავე, ფუნქციური გამჭვირვალობისა და ეფექტური მენეჯმენტის მიზნით, თითოეული კადრი დამატებით ანგარიშვალდებულია იმ კონკრეტული თანამშრომლის/მენეჯერის წინაშე, რომელსაც იგი უშუალოდ ექვემდებარება ორგანიზაციული სტრუქტურული სქემის მიხედვით;

4.1.1.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;

სსიპ მიხეილ ხერგიანის სახელობის დაბა მესტიის N2 საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის N17 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალის სამუშაო აღწერილობის, შეფასების წესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტები“ . აღნიშნული დოკუმენტის ანალიზი ცხადყოფს, რომ დაწესებულებაში სტრუქტურულ ერთეულებსა და კონკრეტულ პოზიციებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები განაწილებულია მკაფიოდ, ლოგიკურად და რაციონალურად. აღნიშნული მიდგომა პირდაპირ უწყობს ხელს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების (პსდ) ძირითადი საქმიანობის, სასწავლო პროცესის გამართულად წარმართვასა და ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნათა დაცვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესწავლილი მასალის მიხედვით, პოზიციების ჭრილში იკვეთება მკაფიო ფუნქციური დიფერენციაცია, რაც გამორიცხავს საქმიანობების დუბლირებას და ოპტიმალურს ხდის სამუშაო პროცესს. ხარისხის შიდა კონტროლისა და განვითარების მიმართულებას წარმართავს პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, რომელიც ორიენტირებულია ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგზე, თვითშეფასების ანგარიშის მომზადებასა და ვერიფიკაციის პროცესების მართვაზე. უშუალო სასწავლო ცხრილებისა და აკადემიური დატვირთვის კონტროლს, სტუდენტთა დასწრების მონიტორინგსა და კარიერულ მხარდაჭერას კოორდინაციას უწევს პროფესიული განათლების კოორდინატორი. პროგრამებისა და მოდულების შინაარსობრივ შესაბამისობაზე, ასევე სასწავლო ლაბორატორიებისა თუ კაბინეტების მზადყოფნაზე პასუხისმგებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი. სასწავლო პროცესის უშუალო და პრაქტიკულ რეალიზაციას კი, თანამედროვე მეთოდოლოგიების გამოყენებითა და შეფასების მტკიცებულებების დროული ფორმირებით, უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებელი. ამასთანავე, სტრუქტურაში გამართულად ფუნქციონირებს დამხმარე და ინფორმაციული მართვის რგოლები: შესყიდვების სპეციალისტი, რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი;

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ დოკუმენტში, ფუნქციებთან ერთად, გაწერილია თითოეული პოზიციისთვის აუცილებელი საკვალიფიკაციო მოთხოვნებიც. ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების ასეთი მიზანმიმართული განაწილება და საკვალიფიკაციო კრიტერიუმების მკაფიო განსაზღვრა უზრუნველყოფს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის — პროფესიული საგანმანათლებლო პროცესის — ეფექტიან, კოორდინირებულ და ხარისხიან განხორციელებას.

4.1.1.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

.

3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

სსიპ მიხეილ ხერგიანის სახელობის დაბა მესტიის N2 საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის 15 იანვრის N2 ბრძანებით დამტკიცებული შიდამარეგულირებელი დოკუმენტის — „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ — ანალიზი ცხადყოფს, რომ დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის მართვის სისტემა და პროცედურები აგებულია ობიექტურობისა და ინტერესთა კონფლიქტის პრევენციის პრინციპებზე. დოკუმენტში მკაფიოდ არის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაწერილი, რომ ხარისხის მართვა, რომელიც ეფუძნება PDCA ციკლს (დაგეგმვა, მონიტორინგი, შეფასება, გაუმჯობესება), გამჭოლად არის ინტეგრირებული ყველა ძირითად და დამხმარე პროცესში. ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვასა და მიუკერძოებლობას უზრუნველყოფს ის გარემოება, რომ საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების ეტაპზე შეფასების ინსტრუმენტებისა და სტუდენტთა მიღწეული შედეგების ვალიდაცია/ვერიფიკაცია ხდება დადგენილი წესით, რაც გამორიცხავს შეფასების პროცესში სუბიექტურობას ან მიკერძოებას. ამასთანავე, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი ინფორმაციასა და შეფასებებს აგროვებს მრავალმხრივი გამოკითხვების საფუძველზე, სადაც ჩართულნი არიან სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და ადმინისტრაციული პერსონალი, რაც უზრუნველყოფს ობიექტურ, კოლეგიურ და არა ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს. ხარისხის მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ყველა შეუსაბამობა, ხარვეზი და რისკი ფორმდება წერილობითი ანგარიშის სახით და გადაეცემა პირდაპირ დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის; მნიშვნელოვანია ისიც, რომ მაკორექტირებელი ქმედებების დანერგვის პროცესში, უფლებამოსილებები და ვალდებულებები ნაწილდება კონკრეტული პერსონალის კომპეტენციის მიხედვით, რაც გამორიცხავს იმას, რომ ერთმა და იმავე პირმა მოახდინოს საკუთარი საქმიანობის გადამოწმება ან მიკერძოებული გადაწყვეტილების მიღება. შესაბამისად, წარმოდგენილი დოკუმენტი ადასტურებს, რომ შეფასების, მონიტორინგისა და ხარვეზების გამოსწორების პროცედურები არის გამჭვირვალე, ეფუძნება რეალურ მტკიცებულებებს, მკაფიოდ მიჯნავს შემფასებლისა და შემსრულებლის როლებს, რაც გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და ხელს უწყობს დაწესებულებაში ხარისხის დამოუკიდებელი კულტურის განვითარებას.

ინდიკატორი 4.1.1.3 **დაკმაყოფილებულია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.

- ✓ „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ — დამტკიცებულია სსიპ მიხეილ ხერგიანის სახელობის დაბა მესტიის N2 საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის N17 ბრძანებით.
- ✓ „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ — დამტკიცებულია სსიპ მიხეილ ხერგიანის სახელობის დაბა მესტიის N2 საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის 15 იანვრის N2 ბრძანებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ✓ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალის სამუშაო აღწერილობის, შეფასების წესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტი“;
- ✓ დაწესებულების სტრუქტურა;
- ✓ გასაუბრების შედეგები;

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.**

დაწესებულებაში ადამიანური რესურსების ეფექტური მართვის, განვითარებისა და მიმდინარე პროცესების სამართლებრივი უზრუნველყოფის მიზნით, მოქმედებს რამდენიმე ძირითადი დოკუმენტი. კერძოდ: „პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა“, „შინაგანაწესი“ და „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“.

„პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა“ მიზნად ისახავს ისეთი სისტემის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს კადრების მოზიდვას, ორგანიზაციულ ინტეგრაციას, შეფასებას, კარიერულ ზრდასა და შენარჩუნებას. თავის მხრივ, „შინაგანაწესი“ მოქმედ კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში აწესრიგებს შრომით ურთიერთობებს, თანამშრომელთა მოტივირებას, დისკრიმინაციის აკრძალვის მექანიზმებსა და დისციპლინურ წარმოებას (როგორც პერსონალის, ისე მოსწავლეებისა და პროფესიული სტუდენტების მიმართ).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მონიტორინგის ფარგლებში, დაწესებულების ადმინისტრაციულ და პროფესიულ პერსონალთან ჩატარებულმა გასაუბრებებმა დაადასტურა, რომ შიდა ორგანიზაციული პროცესები და ინსტიტუციური მართვა პრაქტიკაში სტაბილურად ხორციელდება აღნიშნული მარეგულირებელი დოკუმენტების მოთხოვნათა და პროცედურების დაცვით.

ინდიკატორი 4.1.2.1. **დაკმაყოფილებულია;**

2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;

მესტიის მუნიციპალიტეტის სპეციფიკური, რთული გეოგრაფიული მდებარეობა და მკაცრი კლიმატური პირობები მნიშვნელოვან გამოწვევას ქმნის მაღალკვალიფიციური კადრების მოძიებისა და შენარჩუნების თვალსაზრისით. ზამთრის პერიოდში დიდთოვლობა და რთული რელიეფი ხშირად აფერხებს გადაადგილებას, რაც კიდევ უფრო ართულებს გარედან ახალი რესურსის მოზიდვასა და მობილობას. სწორედ ამიტომ, აღსანიშნავია, რომ პედაგოგთა უმრავლესობა ადგილობრივი და ამავე სკოლაში დასაქმებული კადრია. ამ გამოწვევების საპასუხოდ, დაწესებულებაში მოქმედებს „პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა“, რომელიც ითვალისწინებს მოქნილ მიდგომებს მაღალმთიანი რეგიონისთვის დამახასიათებელი კადრების დეფიციტის დასაძლევად. კერძოდ, პოლიტიკა მოიცავს როგორც შიდა და გარე ვაკანსიების გამოცხადებას, ისე პირდაპირი დანიშვნის პრაქტიკას, რაც გამოწვეულია სპეციალისტების სიმცირითა და რთული ლოგისტიკური პირობებით.

მიუხედავად აღნიშნული ობიექტური ბარიერებისა, პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის, მიუკერძოებლობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით. კანდიდატების შეფასება (მათ შორის, პირდაპირი დანიშვნის დროსაც) ხდება დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის №17 ბრძანებით დამტკიცებული „საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ მიხედვით. ეს მექანიზმი იძლევა გარკვეულ გარანტიას, რომ კადრების სიმცირის პირობებშიც კი, პოზიციებზე დასაქმდნენ ის პირები, რომლებიც სრულად აკმაყოფილებენ აუცილებელ მოთხოვნებს; ამ ეტაპზე, დაწესებულება სრულად არის უზრუნველყოფილი საჭირო ადამიანური რესურსით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია;

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა დაწესებულების პერსონალის პირადი საქმეებისა და მათი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის დეტალური შესწავლა. პროცესმა აჩვენა, რომ დასაქმებული კადრების განათლება, სამუშაო გამოცდილება და კომპეტენციები შეესაბამება მათ მიერ დაკავებულ თანამდებობებს. ამ შესაბამისობის მთავარ სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის N17 ბრძანებით დამტკიცებული განახლებული დოკუმენტი — „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“. მასში თითოეული პოზიციისთვის (როგორც ადმინისტრაციული, ისე ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო რგოლისთვის) მკაფიოდ არის გაწერილი ფუნქცია-მოვალეობები. ფაქტობრივი მდგომარეობის ანალიზით დგინდება, რომ პროფესიული მიმართულების მართვისა და „ფოტოგრაფიის“ პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართული არიან შესაბამისი პროფილისა და კვალიფიკაციის მქონე პირები.

ინდიკატორი 4.1.2.3. **დაკმაყოფილებულია;**

4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

დაწესებულებაში მოქმედი „პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის“ დოკუმენტის ანალიზი აჩვენებს, რომ დაწესებულების ორგანიზაციული კულტურა და ადამიანური რესურსების მართვა სრულად ეფუძნება მონაწილეობითობის, გუნდურობისა და კოლეგიალობის პრინციპებს. პოლიტიკის მთავარი ამოცანაა პერსონალის გაერთიანება საერთო მიზნების გარშემო, რისთვისაც პრაქტიკაში აქტიურად გამოიყენება ერთობლივი სამუშაო შეხვედრები. კოლექტივის ერთიანი და გუნდური მუშაობის რეალურ მტკიცებულებას წარმოადგენს სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტები. კერძოდ, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესამუშავებლად დირექტორის სპეციალური ბრძანებით შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რაც უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში პერსონალის ფართო ჩართულობას. გარდა ამისა, თავად დაწესებულების განახლებული ორგანიზაციული სტრუქტურაც ნათლად ადასტურებს, რომ შიდა პროცესები და საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა მიმდინარეობს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არა ერთპიროვნულად, არამედ კოლეგიალური პრინციპების გათვალისწინებით. შესაბამისად, ყოველივე ზემოთხსენებული გარემოება ხელს უწყობს ჯანსაღი სამუშაო გარემოს ჩამოყალიბებას და გუნდურობას;

ინდიკატორი **4.1.2.4 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ✓ პერსონალის პირადი საქმეები;
- ✓ სსიპ მიხეილ ხერგიანის სახელობის დაბა მესტიის №2 საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის №17 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“;
- ✓ დაწესებულების „შინაგანაწესი“;
- ✓ გასაუბრების შედეგები;

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

07.07.2026
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: